



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების  
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

## ტარიფების რეგულირება

გიორგი იოსებაშვილი  
ტარიფებისა და ფასწარმოქმნის დეპარტამენტი  
ვერმონტი 2008 წ.

15 დეკემბერი – 18 დეკემბერი

## საკანონმდებლო ჩარჩო

- კომისიის სატარიფო უფლება-მოსილება განისაზღვრება საქართველოს კანონით „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“
- კომისია ტარიფებს ადგენს მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია კომისიის მიერ 1998 წელს
- მეთოდოლოგია დაფუძნებულია სრული ღირებულების პრინციპზე

# სატარიფო რეგულირების ძირითადი პრინციპები

- ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიური საფუძველია სრული ღირებულების (ღოდ) პრინციპი;
- მეთოდოლოგია შესაძლებლობას აძლევს საწარმოს დაფაროს ეკონომიკურად გამართლებული გაწეული დანახარჯები;
- ხელს უწყობს საწარმოს ფინანსური შედეგების ზრდას;
- იცავს მომხმარებელს მონოპოლიური ფასებისაგან, განსაკუთრებით სექტორის ისეთ სფეროებში სადაც არ არსებობს კონკურენტული ბაზარი;
- ასახავს სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა მომსახურებზე განსხვავებულ ღირებულებას.

# სატარიფო რეგულირების ძირითადი პრინციპები

- ტარიფმა უნდა უზრუნველყოს რეგულირებადი საწარმოს ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა;
- ყველა დასაბუთებული ხარჯი უნდა იქნას ანაზღაურებული;
- სატარიფო რეგულირებამ უნდა მისცეს სტიმული საწარმოს ეფექტურ ფუნქციონირებას;
- სატარიფო რეგულირება უნდა იყოს გამჭვირვალე;

# შემოსავალზე მოთხოვნილების RR გაანგარიშება

- შემოსავალზე მოთხოვნილება **RR** შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:
- საოპერაციო დანახარჯები;
- ამორტიზაცია;
- გადასახდები;
- მოგება.

# შემოსავალზე მოთხოვნების გაანგარიშება

- საოპერაციო დანახარჯები, მათ შორის რემონტი;
- გარეშე ორგანიზაციების მომსახურება;
- ადმინისტრაციული დანახარჯები მათ შორის;
- ხელფასზე დანახარჯები
- სხვადასხვა სახის ხარჯები;
- ნორმატიული ქსელური დანაკარგები;
- სხვა

# შემოსავალზე მოთხოვნების გაანგარიშება

- ამორტიზაცია არის არაფულადი ხარჯი, რომელიც აისახება ფინანსურ ანგარიშში და ამცირებს აქტივების ღირებულებას;
- ძირითად აქტივებთან დაკავშირებული საინვესტიციო დანახარჯები ცვეთის სახით ნაწილდება აქტივის სასარგებლო მუშაობის პერიოდზე;
- ტარიფში გაითვალისწინება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები.

# შემოსავალზე მოთხოვნების გაანგარიშება

- მოგების ნორმა (WACC) – უზრუნველყოფს საწარმოსათვის მოგების მიღებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება. ანუ მოგების ნორმა გამრავლებული საკუთარ კაპიტალზე დამატებული სესხის პროცენტი გამრავლებული სესხის ღირებულებაზე;
- საკუთარი კაპიტალის ღირებულება: საკუთარი კაპიტალით დაფინანსებული წილი;
- მოზიდული კაპიტალის ღირებულება: სესხის მოცულობა, რომლითაც დაფინანსებულია კომპანიის საქმიანობის ნაწილი.

# შემოსავალზე მოთხოვნილების გაანგარიშება

კაპიტალის ღირებულება განისაზღვრება ასევე კაპიტალის აქტივების ფასწარმოქმნის მოდელით (CAPM).

- მოგების ნორმა განისაზღვრება საკუთარ კაპიტალზე;
- მოგების ნორმის განსაზღვრისას განისაზღვრება რისკფაქტორები;
- რეგულირებადი სატარიფო ბაზაში შედის მხოლოდ ის აქტივები, რომელიც უშუალო კავშირშია რეგულირებად საქმიანობასთან.

## ტარიფების დადგენა

- კომისია ადგენს ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, გატარების, იმპორტის, მოხმარების, სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების, სისტემის კომერციული ოპერატორის სავალდებულო წესით შესასყიდი და სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ტარიფებს;
- ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, განაწილების და მოხმარების ტარიფებს;
- წყალმომარაგების სექტორში მიწოდების ტარიფებს;
- იმპორტის ტარიფი დგინდება იმპორტის შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;
- ახლად აშენებული ელექტროსადგურებისათვის, რომლის წარმოება ექვემდებარება სამინისტროს მიერ მიღებული ნორმატიული აქტით სრულად ან ნაწილობრივ შესყიდვას, დგინდება კომერციული ოპერატორის სავალდებულო წესით შესასყიდი გრძელვადიანი ტარიფი;
- რეზერვის წყაროსთვის დგინდება ორგანაკვეთიანი ტარიფი.

# ტარიფების სახეები

კომისიის მიერ რეგულირებადი ტარიფები  
ელექტროენერგეტიკის სექტორში

- წარმოების
- გადაცემის
- დისპეტჩერიზაციის
- განაწილების
- სამომხმარებლო
- იმპორტის
- გატარების
- კომერციული ოპერატორის მომსახურების
- სიმძლავრის სასისტემო რეზერვის

# ტარიფების სახეები

იმპორტი
ზღვრული

გენერაცია	
ფიქსირებული	ზღვრული

გადაცემა
ფიქსირებული

დისპეტჩერიზაცია
ფიქსირებული

განაწილება
ფიქსირებული (დიფერენცირებული ძაბვების მიხედვით)

სამომხმარებლო		
ფიქსირებული (დიფერენცირებული ძაბვების მიხედვით)		
35-110 კვ	6-10 კვ	0,4 კვ



საფეხურებრივი ტარიფები

# ტარიფების დადგენის პროცედურები

- კომისია განიხილავს ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილ სატარიფო განაცხადს
- განაცხადის ფორმები დამტკიცებულია კომისიის მიერ
- სატარიფო განაცხადს თან ერთვის აუდიტორული და ფინანსური ინფორმაცია
- ტარიფი ძალაში შედის დადგენილების გამოქვეყნებიდან 15 დღის შემდეგ

# ტარიფების დადგენა

ტარიფი = შემოსავალზე მოთხოვნილება / ელექტროენერჯის მოცულობა

შემოსავალზე მოთხოვნილება:

1. ამორტიზაცია
2. საოპერაციო ხარჯები
  - რემონტი
  - გარეშე ორგანიზაციების მომსახურება
  - ნედლეული და დამხმარე მასალები
  - ხელფასზე დანახარჯები
  - საწვავი ელექტროენერჯის საწარმოებლად
  - დანაკარგები
3. გადასახადები
  - მოგების გადასახადი
  - ქონების გადასახადი
  - ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი
  - მიწის გადასახადი
4. ნარჩენ ფონდებზე ამონაგები

# გენერაცია და იმპორტი

1. 2006 წლის 1 სექტემბრიდან მცირე სიმძლავრის ჰესები დერეგულირებულია (13 მგვტ)

საქართველოში მცირე ჰესების რაოდენობა 38-ს შეადგენს კომისია ტარიფს უდგენს 17 ჰიდროელექტროსადგურს –  
- მ.შ. 2 ჰიდროელექტროსადგურს დადგენილი აქვს ფიქსირებული ტარიფი - დანარჩენ 15 ჰიდროელექტროსადგურს დადგენილი აქვს ზღვრული ტარიფი

2. საქართველოში 3 თბოელექტროსადგურია

2.1 ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი (ზღვრული).

ორგანაკვეთიანი ტარიფები:

- სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ტარიფი;
- გამოყენებული რეზერვის ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი.

## საბითუმო ტარიფები.

■ გამანაწილებელი კომპანიებისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ შესყიდული ელექტროენერჯის საბითუმო ტარიფები განისაზღვრება მათ მიერ ელექტროსადგურებთან და იმპორტიორებთან, ასევე გადაცემადისპექტრის ზაციის ლიცენზიატებთან გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე

■ ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების მიზნით, ელექტროენერჯის ყველა საბითუმო მყიდველი (ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიები და პირდაპირი მომხმარებლები) ვალდებულია იქონიოს სარეზერვო სიმძლავრე მისი მოხმარების არანაკლებ 10%-ის ოდენობით.

ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიებისათვის სარეზერვო სიმძლავრის ტარიფი გათვალისწინებულია მათ მიერ ელექტროენერჯის შესასყიდ საბითუმო ტარიფში.

# დისპეტჩერიზაციის ტარიფები

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ - ერთი იურიდიული პირია, რომელიც ეწევა ორ ლიცენზირებულ საქმიანობას გადაცემა და დისპეტჩერიზაციას

- ხარჯები იყოფა საქმიანობის მიხედვით
- დისპეტჩერიზაციის ტარიფი გაიანგარიშება შემდეგნაირად:
  - მოთხოვნილი შემოსავალი გაყოფილი სისტემაში დისპეტჩერებულ ელექტროენერგიაზე ნორმატიული დანაკარგების გამოკლებით

დისპეტჩერიზაციის ტარიფი - 0.15 თეთრი/კვტსთ

# განაწილების ლიცენზიატები

საქართველოში 3 განაწილების ლიცენზიატია

- თბილისი - სს „თელასი“ - პრივატიზებულია 1998 წლიდან
- რეგიონები – სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ პრივატიზებულია 2007 წელს
- კახეთი – სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ - გაკოტრების რეჟიმში მყოფი 2005 წლიდან

# კომისიის მიერ რეგულირებადი ტარიფები გაზის სექტორში

## ■ კომისიის უფლებამოსილება ტარიფების დადგენაში;

\* „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“  
კანონით

კომისია გაზის სექტორში არეგულირებს შემდეგ ტარიფებს:

1. მიწოდების ზღვრულ ტარიფებს მხოლოდ იმ საცალო მომხმარებლებისთვის, რომლებიც გაზს იღებენ გაზგამანაწილებელი ქსელით

2. ტრანსპორტირების ტარიფს

3. განაწილების ტარიფებს

4. მოხმარების ზღვრულ ტარიფებს

\* კომისიის რეგულირების სფეროში არ შედის (ფასები თავისუფალია):

1. ავტოგასამართ სადგურებში რეალიზებული გაზის ტარიფები (2006 წლამდე იყო რეგულირებადი)

2. მიწოდების (საბითუმო) ტარიფები

## ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფები

- 2007 წლიდან საქართველოში გაზის იმპორტი, გარდა რუსეთისა, დაიწყო აზერბაიჯანიდანაც, რომლის ფასი რუსულ გაზთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალი (62,4\$ და 120\$) იყო
- მომხმარებლებისთვის ტარიფების მკვეთრი გაძვირების თავიდან ასაცილებლად, სამინისტროს მიერ დამტკიცებული 2007 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსისა და მიმწოდებელი კომპანიების განაცხადების საფუძველზე, კომისიის მიერ მიმწოდებლებისთვის განისაზღვრა რუსული და აზერბაიჯანული გაზის ფასების საშუალო შეწონილი ფასი – 167,0 \$/1000მ<sup>3</sup>-ზე და მომხმარებლებისთვის გაზი გაძვირდა მხოლოდ 52%-ით
- გაზის მიწოდების ტარიფები დადგენილია 2007 წელს და ამჟამადაც იგივე ტარიფებით ხდება გაზის მიწოდება გაზგამანაწილებელ ქსელებში არსებული მომხმარებლებისთვის

## საქართველოში იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასები და დინამიკა 1999 - 2008წწ

№	წლები	ბ/გაზის იმპორტის წყარო	იმპორტის ფასი აშშ \$ /1000მ3	შენიშვნა
1	1999	რუსეთი	60.0	
2	2000	რუსეთი	40.0	
3	2001	რუსეთი	50.0	
4	2002	რუსეთი	56.0	
5	2003	რუსეთი	60.0	
6	2004	რუსეთი	60.0	
7	2005	რუსეთი	60.0	
8	2006	რუსეთი	110.0	
9	2007	რუსეთი	235.0	მიმწოდებლებს დაუდგიათ საშუალო შეწონილი ფასი
		შახდენიზი (აზერბაიჯანი) აზერბაიჯანი	62.4 120.0	
10	2008	კომისის არ არეგულირებს		

# ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფები

- ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემის სიმძლავრე და საქართველოში ფაქტობრივად შემოსული და ტრანსპორტირებული გაზის მოცულობების დინამიკა
  - \* ტრანსპორტირების სისტემის სიმძლავრე შეადგენს 20,0 მლრდ მ3-ს
  - \* საქართველოში გაზის მაქსიმალური მოხმარება იყო 80-იანი წლების ბოლოს და შეადგენდა 6,7 მლრდ.მ3-ს
  - \* 2007 წელს საქართველოს მოხმარება – 1,7 მლრდ მ3, ხოლო ტრანზიტი 2,0 მლრდ.მ3
- ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფი
  - \* ტრანსპორტირების ტარიფი ერთიანია ყველა მომხმარებლისთვის (თბოსადგურების გარდა) და განსაზღვრულია 16,62 ლარი/1000მ3-ის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით
- ბუნებრივი გაზის ტრანზიტი
  - \* გაზის ტრანზიტი ხდება სომხეთის რესპუბლიკაში
  - \* ტრანზიტის ტარიფი კომისიის მიერ არ რეგულირდება
  - \* ტრანზიტიდან მიღებული შემოსავალი გაითვალისწინება ტრანსპორტირების ტარიფის განსაზღვრისას

# ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფები

- სატარიფო განაცხადის პროცედურები და მოთხოვნები
  - \* ლიცენზიატის მიერ კომისიაში სატარიფო განაცხადის წარმოდგენიდან 3 დღის ვადაში, კომისიის აპარატის შესაბამისი სამსახური ამოწმებს დოკუმენტაციის სისწორეს და სრულყოფილებას. თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია, ცხადდება განაცხადის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, წინააღმდეგ შემთხვევაში ლიცენზიატს ეგზავნება მოთხოვნა სათანადო დოკუმენტაციის წარმოსადგენად
  - \* კომისიის აპარატის მიერ მომზადებული პროექტი განიხილება კომისიის სხდომაზე
  - \* კომისიისთვის ტარიფის დადგენის მაქსიმალური ვადაა 150 დღე
  - \* ლიცენზიატის წარმოდგენილი განაცხადი უნდა იყოს დასაბუთებული, ვალდებულია წარმოადგინოს გასული რეგულირებადი პერიოდის აუდირებული ფინანსური ანგარიში და აგრეთვე კომისიის მიერ მოთხოვნილი საჭირო დამატებითი ინფორმაცია
- ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფების სტრუქტურა – სატარიფო განაცხადის ფორმები, გაზის განაწილების ძირითადი ხარჯებისა და წმინდა მოგების ნორმები
  - \* ამორტიზაციის ნორმა – განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის მიხედვით
  - \* სახელფასო განაკვეთები – ქალაქების და რაიონების კატეგორიების მიხედვით
  - \* სარემონტო ხარჯი – ძირითადი ფონდების 5%-მდე
  - \* წმინდა მოგების სიდიდე ამ ეტაპზე კომისიის მიერ განსაზღვრულია 8% ძირითადი ფონდების მიმართ

# ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფები

- გაზის განაწილების ტარიფებში დანაკარგის ნორმატივი და მისი ხვედრითი წილი
  - \* დანაკარგის ნორმატივის საშუალო სიდიდე „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ტარიფში – 9%, ხოლო დანარჩენ კომპანიებში 5%-მდე
  - \* 2006-2007 წლებში გაზის იმპორტის და მიწოდების ტარიფების გაზრდამ, მნიშვნელოვნად გაზარდა (თითქმის გაორმაგდა) ნორმატიული დანაკარგის ხვედრითი წილი განაწილების ტარიფში
- ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფების დიფერენცირება მომხმარებელთა კატეგორიების (წნევების) მოხედვით
  - \* მეთოდოლოგიის მიხედვით გაზის განაწილების ტარიფები დგინდება მაღალი, საშუალო და დაბალი წნევით მომხმარებლებისთვის
  - \* კომისიის მიერ დღეისათვის ტარიფები დადგენილია 67 გამანაწილებელი ლიცენზიატისთვის, აქედან დიფერენცირებულია (წნევების მიხედვით) 21 კომპანიის ტარიფები, დანარჩენ 46 კომპანიას ყავს მხოლოდ დაბალი წნევით (საყოფაცხოვრებო) მომხმარებელი
  - \* განაწილების ტარიფების (დღგ-ის ჩათვლით) ოდენობა სხვადასხვა კომპანიებისთვის განსაზღვრულია:
    - მაღალ წნევაზე – 0,6 თეთრიდან 3,5 თეთრამდე ფარგლებში
    - საშუალო წნევაზე – 2,0 თეთრიდან 12,0 თეთრამდე
- ფარგლებში
  - დაბალ წნევაზე – 10,0 თეთრიდან 17,0 თეთრამდე
- ფარგლებში

# ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფები

- კომპანიების საქმიანობის მონიტორინგი და მათი ფინანსური მდგომარეობა
  - \* კომისიის მიერ დადგენილი ფორმებით, კომპანიები ვალდებული არიან ყოველკვარტალურად წარმოადგინონ ინფორმაცია საქმიანობის შესახებ და წლიური აუდიტებული ფინანსური ინფორმაცია
  - \* გაზგამანაწილებელი კომპანიების უმეტესი ნაწილი არის ზარალიანი. 2007 წელს „გაზტრანსგაზ-თბილისის“ ზარალმა შეადგინა 72,0 მლნ.ლარი, რაც გამოწვეულია ძირითადად დიდი დანაკარგებით
- გაზგამანაწილებელი კომპანიების ძირითადი პრობლემები
  - \* მიწისქვეშა ქსელების სიძველისა და აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობის გამო ფაქტობრივად დიდი დანაკარგი და შესაბამისად ფინანსური ზარალი, ყველა კომპანია კომისიისგან ითხოვს დანაკარგის ნორმატივის გაზრდას
  - \* დიდი მომხმარებლები ცდილობენ გავიდნენ განაწილების არეალიდან და შეუერთდნენ პირდაპირ ტრანსპორტირების სისტემას, რის გამოც გამანაწილებელ კომპანიას აკლდება შემოსავალი მნიშვნელოვანი ოდენობით და იძულებულია მოითხოვოს საყოფაცხოვრებო მომხმარებლის ტარიფის გაზრდა

# საგადასახადო სისტემა გაზის სექტორში

- არსებული გადასახადები და მათი განაკვეთები
  - \* ქონების - 1%, არასასოფლო მიწის - 0,25 თეთრი მ2, მოგების-15%, დღგ-18%
- საგადასახადო შეღავათები
  - \* გათავისუფლებულია საბაჟო 12%-იანი გადასახადისაგან
  - \* თბოელექტროსადგურებისთვის გაზის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-გან
- გადასახადების ხვედრითი წილი სამომხმარებლო ტარიფებში
  - \* 2005 წლამდე მოხმარების ტარიფში გადასახადების შეადგენდა 23-25%-ს, 2005 წლიდან (ახალი საგადასახადო კოდექსით) მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც გადასახადის სახეები (გაუქმდა საგზაო, სამეწარმეო საქმიანობის, ეკოლოგიის) ასევე განაკვეთები (შემცირდა სოციალური გადასახადი 31%-დან 20%-მდე, 2008 წლიდან სულ გაუქმდა, დღგ – 20%-დან 18%-მდე, მოგების – 20%-დან 15%-მდე)
  - \* ამჟამად გადასახადების წილი (ჯამურად) მოხმარების ტარიფებში შეადგენს 17-18%-ს.



# გზადღობთ ყურადღებისათვის